ოქმი:**ო05. 3726268001**

თარიღი:**25/09/2026**

ოქმი N 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 21 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი– 15:30-საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ქ. ხომერიკი, ლ. კილაძე, გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ლ. მესხი, ლ.კვაჭაძე, მ. ცქვიტინიძე, ე. გორდელაძე,დ.კიკვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ”.

მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: ვახტანგ ვაშაყმაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ მ.ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის საკითხი. აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარებდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. ვრცლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის შესახებ, ისაუბრა თანამომხსენებელმა ვ.ვაშაყმაძემ, რომელმც საკრებულოს კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის წარმოდგენილი დადგენილების კორექტირებული პროექტი და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტს საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს მომდევნო სხდომას

განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

